

"წერს რეკორდული რაოდენობის ყურძენი გადამუშავდა, მევენახეების შემოსავლებმა 300 მლნ დარს გადააჭარბა"



სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, 2018 წერს გადამუშავდა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში რეკორდული რაოდენობის ყურძენი – 230 ათასამდე ტონა, მევენახეების შემოსავლებმა კი 300 მლნ

დარს გადააჭარბა. მევენახეებისგან ყურძენის მიღებისა და გადამუშავების პროცესში, სხვადასხვა ეტაპზე, 280-ზე მეტი კერძო კომპანია იყო ჩართული, რაც განაპირობებდა ყურძენის ჩაბარების შეუფერხებელ პროცესს.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა დევან დავითაშვიდმა 2018 წლის რთველი შეაჯამა და ჟურნალისტებს ბოლო ექვსი წლის განმავლობაში მევენახეობა-მელვინეობის დარგის განვითარების ხერხეწყოების მიზნით, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგები გააცნო. როგორც მინისტრმა აღნიშნა, გაზრდილია ღვინის ექსპორტის მოცულობა, საექსპორტო ბაზრები დივერსიფიცირებულია, შექმნილია ახალი და გაფართოებული ღვინის ძველი საწარმოები, ფუნქციონირებს აგროკრედიტის და აგროდამზვევის სისტემა.

დევან დავითაშვიდის თქმით, სახელმწიფოს ხერხეწყოებით, მევენახეობა-მელვინეობის დარგი გაძლიერებულია და ის სუბსიდის ფორმით მხარდაჭერას აღარ საჭიროებს.

„2013-2018 წლებში, მევენახეებმა კახეთსა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში, ჯამში, 950 მღნ დარამდე შემოსავარი მიიღეს. დარგში არსებულმა პოზიტიურმა მაჩვენებლებმა შესაძლებლობა გააჩინა, რომ 2018 წლის რთველის პერიოდში ყურძენზე სუბსიდია აღარ გაცემულიყო. ყურძნის ფასის დადგენა საბაზრო ეკონომიკის საფუძვლებზე მოხდა.

2018 წელს გადამუშავდა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში რეკორდული რაოდენობის ყურძენი – 230 ათასამდე ტონა, მევენახეების შემოსავლებმა 300 მღნ დარს გადააჭარბა (2012 წელს გადამუშავდა 52 ათასი ტონა). მევენახეებისგან ყურძნის მიღებისა და გადამუშავების პროცესში, სხვადასხვა ეტაპზე, 280-ზე მეტი კერძო კომპანია იყო ჩართული, რაც განაპირობებდა ყურძნის ჩაბარების შეუფერხებელ პროცესს.

ყურძენი ღვინის საწარმოებს 22 ათასმა მევენახემ ჩააბარა, რაც ასევე რეკორდული მაჩვენებელია და რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში იმატა ვენახების რაოდენობამ, რომ გაჩნდნენ ახალი მევენახეები და რომ სახელმწიფოს მიერ ბოლო წლებში, მევენახეობა-მეღვინეობის დარგში სწორი პოლიტიკა და რეფორმები გატარდა“, – განაცხადა რევან დავითაშვილიმა.

ამასთან, როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრმა აღნიშნა, ღვინის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირებულია 800-ზე მეტი ღვინის დიდი, საშუალო და მცირე საწარმო, 2012 წელს მათი რაოდენობა 50-მდე იყო.

„2013 წლიდან დღემდე, სახელმწიფოს მხარდაჭერით, შეიქმნა 30 ახალი საწარმო და გაფართოვდა 63. შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში, 2013 წლიდან დღემდე, მეღვინეობისა და სხვა ადვოკატური წარმოების მიმართულებით, ძირითადი საშუალებებისთვის გაიცა 61 მილიონ დარზე მეტი, ხოლო საბრუნავი საშუალებებისთვის – 263 მილიონ დარზე მეტი“, – განაცხადა რევან დავითაშვილიმა.



სოფლის მეურნეობის მინისტრის თქმით, 2017 წელს ექსპორტზე ღვინო 270-მა კომპანიამ გაიტანა, მიმდინარე წლის 9 თვის მონაცემებით კი, უკვე 260-მა კომპანიამ განახორციელა ექსპორტი.

„2017 წელს, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში რეკორდული რაოდენობის ღვინოა ექსპორტირებული – 53 ქვეყანაში 76,7 მლნ ბოთლი (0,75 ღ). 2018 წლის იანვარ-სექტემბერში ექსპორტირებულია 60 მლნ-მდე ბოთლი ღვინო, მრდა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 13%-ია (2012 წელს, საქართველოდან მსოფლიოს 42 ქვეყანაში 23 მლნ ბოთლი იყო ექსპორტირებული).“

ქართული ღვინო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის, ევროკავშირის ქვეყნებში, იაპონიაში, აშშ-ში, ჩინეთში, სამხრეთ კორეაში და სხვა, წარმოდგენილი იყო 500-მდე სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენა-დეგუსტაციასა და ღონისძიებაზე. მოეწყო 100-ზე მეტი ღვინის ტური მედიისა და ღვინის პროფესიონალებისთვის.

2017 წლის 13 ნოემბერს, აშშ-ის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ჟურნალში (PNAS) გამოქვეყნდა სამეცნიერო სტატია „Early „საქართველოს ადრეული ნეოლითური ღვინო სამხრეთ კავკასიიდან“ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური

მასადის კვლევის შესახებ, რომელიც ადასტურებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ღვინოს 8000 წლის წინ აყენებდნენ. კვლევა მიმდინარეობდა პროექტის „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა“ ფარგლებში, რომელსაც ღვინის ეროვნული სააგენტო 2014 წლიდან ახორციელებს.

აღნიშნული მეცნიერული დასკვნა მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა -სტატიები დაიბეჭდა ყველა წამყვან საინფორმაციო თუ მეცნიერულ გამოცემაში (The New York Times, BBC, CNN, The Guardian, National Geographic, Washingtonpost და ა.შ.)“, – განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

ამასთან, რევან დავითაშვილი აღნიშნა, რომ 2014 წელს ქვეყნის მევენახეობა -მეღვინეობის დარგის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი პროგრამის – ვენახების კადასტრის მასშტაბური პროექტის განხორციელება დაიწყო. პროექტი 2014 წელს რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში განხორციელდა, 2015 ყვარელში, 2016 თელავში, 2017 – ახმეტის და 2018 წელს – გურჯაანის მუნიციპალიტეტში.

„ხარისხის კონტროლი და სერტიფიცირება დაინერგა აღრიცხვის, რეგისტრაციისა და სერტიფიცირების ელექტრონული სისტემები. ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ხარისხის კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, 2017 წელს განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები „ვაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონში“.

2017 წელს, ღვინის ეროვნული სააგენტოს სადეგუსტაციო კომისიამ ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების ორგანოლეპტიკური ტესტირების მიზნით, 110 დეგუსტაცია ჩაატარა. მიმდინარე წლის 9 თვეში კი, უკვე 190 დეგუსტაცია. 2017 წელს ალკოჰოლური სასმელების კომპანიებში განხორციელდა როგორც საექსპორტო ადგილწარმოშობის, ასევე სუფრის ღვინოებისა და ღვინის ბრენდის (დოტთან მიმართებაში) 88 საინსპექციო კონტროლი“, – განაცხადა რევან დავითაშვილი.